"ვამტკიცებ"
აჭარის ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი ს. მელია

საკვალიფიკაციო ტურნირი IV და V სპორტულ თანრიგზე
22-23 ოქტომბერი, 2022 წ. ქ. ბათუმი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. **ჩატარების ვადები და ადგილი:** 22.10-23.10.2022 წ. ქ. ბათუმი, მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე. მის: ლეონიძის 15.

2. **ჩატარების სისტემა:** ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად. საჭიროების შემთხვევაში, ტურნირის სისტემას, დროის კონტროლს და ტურის დაწყების დროს გადაწყვიტავს ორგანიზატორი.

3. **მონაწილენი:** ტურნირში დაიშვებიან მოჭადრაკეები საქართველოს ყველა რეგიონიდან.

4. **რეგისტრაცია:** მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა
- https://forms.gle/ZrCkMCHmPUrAkT9f8

   რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2022 წლის 21 ოქტომბრის 20:00 საათი.
   დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში მონაწილის ტურნირში დაშვებას წყვიტავს ორგანიზატორი.
   რეგისტრაციაზე და კენჭისყრაზე საკონტაქტო პირია მსაჯი - 558 410904.

5. **ტურნირის განრიგი:**
   ტურნირის გახსნა: 22 ოქტომბერი, 10:45 წთ.
   I-II-III ტური - 22 ოქტომბერი, დასაწყისი 11:00 საათი.
   IV-V-VI-VII ტური - 23 ოქტომბერი, დასაწყისი 11:00 საათი.

6. **დროის კონტროლი:** თითოეულ მონაწილეს მიეცემა 15 წუთი პარტიის ბოლომდე.
7. **სატურნირო შესატანი:** 10 ლარი (უნაღდო ანგარიშწორებით).
   აჭარის ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი''
   ანგარიშის ნომერი: **GE95BG 0000 000 3630 99200**

8. **გამარჯვებულები:**
   გამარჯვებულები გამოვლინდებიან ქულათა მეტი რაოდენობის მიხედვით.
   თაი – ბრეიქი: ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

შვეიცარული ტურნირის დროს:
1. ურთიერთშორის შეხვედრა;

2. ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების რაოდენობა.

წრიული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

9. დაჯილდოება:

- 1-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებითა და დიპლომებით.
- V თანრიგის ტურნირში, მოჭადრაკეები, რომლებიც დააგროვებენ 4,5 და მეტ ქულას მიენიჭებათ V სპორტული თანრიგის 1 ბალი.
- IV თანრიგის ტურნირში, მოჭადრაკეები, რომლებიც დააგროვებენ 5 და მეტ ქულას მიენიჭებათ IV სპორტული თანრიგის 1 ბალი.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია